



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის თერმული წყლები


თბილისის თერმული წყლები, ბუნებრივი თერმული სულფიდური წყლები. ცნობილია უხსოვარი დროიდან, როგორც „გოგირდის აბანოები“. თბილისის დაარსების ლეგენდაც ამ თბილი წყლების არსებობას უკავშირდება. საძიებო სამუშაოების დაწყებამდე (1932) ქალაქის ძვ. უბანში, ძირითადად მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, გამოდიოდა 26–47°C ტემპურის 30-მდე წყარო, ჯამური დებიტით 1300 მ³/დღ-ლ. თ. თ. წ-ის ბუნებრივი განტვირთვა ხდებოდა მამადავითის (თაბორის) ანტიკლინის ჩრდ. ფრთაში გაშიშვლებული შუაეოცენური ასაკის „არეულშრეებრივი კონგლომერატებიდან“ და ტუფოგენური ქანებიდან. 1932–57 გაიყვანეს 8 ჭაბურღილი, რ-ებმაც თერმული (40–43°C) წყლის საერთო დებიტი 3500 მ³/დღ-ლ-მდე გაზარდა. 1953–56 მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე დამატებით გაიყვანეს 7 ჭაბურღილი, რის შედეგადაც იმავე წყალშემცველი ჰორიზონტიდან ამოვიდა 45–50°C ტემპ-რის განსხვავებული ტიპის წყალი. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე (ცენტრ. უბანზე) მოხდა წყლის გადანაწილება ჭაბურღილებს შორის, ხოლო მარცხ. ნაპირზე დამატებით მიიღეს 1500 მ³/დღ-ლ ოდენობის თერმული წყალი. 1969 ლისის ანტიკლინის თაღურ ნაწილში, სოფ. ლისთან, ნავთობის N1 ღრმა ჭაბურღილიდან, ცენტრ. უბნის გარეთ, პირველად მიიღეს მომატებული ტემპ-რის (57°C) იმავე ტიპის წყალი.

1970–82 სამმართველო „საქბურღეოთერმიაში“ ქალაქსა და მის შემოგარენში გაიყვანა 1867– 1982 მ სიღრმის 8 ჭაბურღილი, რის შედეგადაც ქვედა და შუაეოცენური თერმოწყალშემცველი ჰორიზონტიდან ამოვიდა 52–74°C ტემპ-რის წყალი დებიტით 200–6000 მ³/დღ-ლ-ში.

1984–85 `საქგეოლოგიაში“ საბადოს ცენტრ. უბანზე დამატებით გაიყვანა 400–3000 მ სიღრმის 11 ჭაბურღილი და მიიღო 39–41°C ტემპერატურის წყალი. თ. თ. წ-ის საბადოზე

მრავალწლიანი ძიების შედეგად გამოიყო სამი განმხილველი უბანი: ცენტრალური – ძვ. წყაროებისა და ბალნეოლ. კურორტის მიმდებარე უბანი, ლისის – ლისის ტბის შემოგარენი და საბურთალო-ვაშლიჯვრის უბანი და მესამე, სამგორი-სართიჭალის ნავთობიანი უბანი. ყოველი უბნის შიგნით დადგინდა ჭაბურღილებს შორის ჰიდროდინამიკური კავშირი, ხოლო უბნებს შორის ასეთივე კავშირის ბუნება ჯერჯერობით დაუდგენელია. მომავალი ძიების შედეგად უბნების რაოდენობა უდავოდ გაიზრდება და გაირკვევა მათ შორის კავშირის ხასიათი.

დღეისათვის ცენტრ. უბნის თერმული წყალი ტრადიციულად გამოიყენება ბალნეოლ. კურორტისა (სამკურნ.-პროფილაქტიკური მიზნით) და აბანოებისათვის, ხოლო ლისისა და საბურთალოს უბნების შედარებით მაღალტემპერატურული წყლები – მოსახლეობისა და სხვადასხვა დაწესებულების გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგებისთვის. სამივე უბნის წყალი დაბალმინერალიზებულია, ტუტე რეაქციის (9,2–9,7), შეიცავს გოგირდწყალბადს (5–20 მგ/ლ), ცენტრ. უბნის წყლები – აზოტს, ხოლო ლისის უბნისა – მეთანს. წყლის ქიმ. შედგენილობის ფორმულა ასეთია:



1937 ცენტრ. უბნის წყლების ბაზაზე დაარსდა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი სამკურნ. სააბაზანოებითა და - სტაციონარით, ხოლო 1960 აშენდა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნ.კვლ. ინ-ტის შენობა. კლინიკურმა და ექსპერიმენტულმა კვლევებმა დაადასტურა თ. თ. წ-ის მაღალი სამკურნ. თვისებები. იგი ეფექტური აღმოჩნდა სახსრების, გულისა და პერიფერიულ სისხლძარღვთა,

პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური, კუნთებისა და მყესების, ჰიპერტონიული, ნივთიერებათა ცვლისა და კანის ზოგიერთ ქრონ. დაავადებათა სამკურნალოდ.

თბილისისა და მისი შემოგარენის ჰიდროგეოლ.-გეოთერმული შესწავლით დადგინდა, რომ ინტენსიური საძიებო ბურღვით ქვედა და შუაეოცენური და ცარცული თერმოწყალშემცველი ჰორიზონტებიდან შესაძლებელია ამოვიღოთ იმ რაოდენობისა და ტემპ-რის წყალი, რ-იც მთლიანად დააკმაყოფილებს თბილისის ცხელი წყლით მომარაგებისა და გათბობის მოთხოვნებს.